სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“ აცხადებს ბაზრის მოკვლევას საახალწლო მუსიკალური ფილმის სინოფსისის შესყიდვის მიზნით.

წარმოდგენილი საახალწლო მუსიკალური ფილმის სინოფსისი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- იდეის ორიგინალურობა და უნიკალურობა;
- საინტერესოდ აგებული სტრუქტურა მრავალფეროვანი პერსონაჟებით;
- სადღესასწაულო განწყობა ახალი წლის სიმბოლოებისა და ატრიბუტების გამოყენებით, ბალანსი ტრადიციასა და ორიგინალობას შორის. ცნობილი საახალწლო ტრადიციები გადმოიცეს არასტანდარტული იდეებითა და მიდგომებით;
- კონკრეტული სამყაროს შექმნა, სადაც ყველა ფრაგმენტი ქმნის მთლიანობის განცდას;
- საახალწლო მუსიკალური ფილმი უნდა მოიცავდეს სხვადასხვა გასართობ ელემენტს მეტი მიმზიდველობისთვის. სასურველია მუსიკალური ნომრების მრავალფეროვნება, მუსიკის მრავალფეროვანი ჟანრი და სტილი, რათა მოერგოს სხვადასხვა გემოვნების აუდიტორიას;
- სინოფსისით გათვალისწინებული ნომრები უნდა შეასრულონ ცნობილმა მუსიკალურმა ჯგუფებმა, მომღერლებმა, მსახიობებმა. ყურადღება უნდა მიექცეს მუსიკალური ნომრების ხარისხსა და ორიგინალურობას, მათ შესაბამისობას სიუჟეტთან აუდიტორიის ემოციური კავშირის შექმნის მიზნით;
- სინოფსისი უნდა მოიცავდეს განათების, ხმის და ვიზუალური ეფექტების (კოსტიუმები, ნიღბები, დეკორაციები) გამოყენებას შთამბეჭდავი წარმოდგენის შესაქმნელად;
- კრეატიული პერფონმანსები და მოქმედების დინამიურობა;
- საახალწლო მუსიკალური ფილმის შინაარსსა და ძირითადი ეპიზოდების გადაღებისას აქცენტი გაკეთდეს აჭარაზე.

პოტენციურმა მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სინოფსისი ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით და სცენარის განხორციელებისთვის საჭირო სავარაუდო ფინანსური ხარჯი;

დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მატერიალურად ან ელექტრონული ფორმით შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ. # 41; ელ.ფოსტა: konkursi@ajaratv.ge

სინოფსისის წარმოდგენის ვადა - 2023 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით.

საკონტაქტო პირი: სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი ინგა გოგოლიშვილი, მობ. 591980520.